

ბ. კეპელიძე

ერთი აღზილია შესახებ ნიჰამი ბანჯელის ისქანდერ-ნამეში

ნიჰამი განჯელის ხუთ პოემას შორის ისქანდერ-ნამეს უდავოდ წნიშენე-ლოვანი ადგილი უკავია. მასში მოთხრობილია ალექსანდრე მაკედონელის ლაიქრობის შესახებ აღმოსავლეთის ქვეყნებში. პოემა თარგმნილია ევროპულ ენებზე, ნათ შორის რუსულზედაც. ჩვენ ხელთა გვაქვს ორი რუსული თარგ-მანი: Е. О. Бертельс-ის¹ და И. Финкелер-ის პროფ. Климович-ის კომენ-ტარების თანდართვით².

ისქანდერ-ნამეში მოთავსებულია ერთი საყურადღებო ეპიზოდი, რომე-ლიც აგვიწერს ალექსანდრე მაკედონელის რუსებთან ომს. ეს ომი გამოწვე-ული ყოფილა შემდეგი გარემოებით: „აფხაზეთის“ (იგულისხმება გაერთიანე-ბული საქართველო XI—XII საუკუნეებისა) მმართველს დევალს (ქართულად უნდა გამოითქვას დვალი) შეუჩივლია ალექსანდრესთვის, რომ რუსები თავს დაესხნენ და დაარბიეს მისი ქალაქი ბარდავი და მოიტაცეს მისი საცოლე, ბარდავის დედოფალი ნუშაბე. მოდი და დამეხმარეო, თხოვს ის მას. ალექ-სანდრეს ყურადღელია მისი თხოვნა, დაუწყია რუსების წინააღმდეგ ბრძოლა, დაუმარცხებია ისინი, გამოუხსნია ნუშაბე, დაუქორწინებია დვალი და ნუშაბე და დაუბრუნებია ისინი ქ. ბარდავში.

ამ შემთხვევაში, როგორც გარკვეულია მეცნიერებაში, იგულისხმება რუ-სების თავდასხმა ბარდავზე 943—944 წლებისა. აღნიშნულ ომში, პოემით, მარტო რუსები კი არ იბრძვიან, არამედ მათთან ერთად და მათი მეტაურო-ბით ომობენ სხვადასხვა ხალხის წარმომადგენელნიც. მოგვყავს შემოკლებით რუსული თარგმანი იმისა, რასაც დვალი ეუბნება ალექსანდრეს:

ბერტელსის თარგმანი:

ლიპსკეროვის თარგმანი:

I. „Русские бойцы из Аланов и Арков ... к Дербенту в той обла-сти пробились, по рекам к морю устремились, совершили нападе-ние непомерное“ (312).

II. „Кинтал-рус ... собрал войс-ко из семи русских [племен]:... из

„В Абхазии полчища русов... Из Аланов и Арков полным отря-дом вся страна сметена, словно яр-остным градом. И враги всю Дер-бендскую заняли вьюсь, и до моря по рекам они добрались“ (353—354).

„Предводитель всех русов Кинтал приказал семи племенам быть в ука-

¹ Низами, Искандер-Намэ, ч. 1. Баку, 1940.

² Низами Гянджеви, Искандер-Намэ, Москва, 1953.

Буртасов и Аланов и Хазранов толпы созвал он, поток, словно море, и гора от земли Ису до Кипчакской степи“ (320).

III. „С другой стороны краснолицые русы... Правое крыло украшено хазранийцами, слева поднималась клики буртасов, аланы позади“ (325).

значном месте. И хазаров, буртасов, аланов притек, словно бурное море, безмерный поток. От владений Ису до Кипчакских владений степь оделась в колчуги“ (365).

„Краснолицые русы сверкали... хазранийцы—направо, буртасов же слева ясно слышались возгласы, полные гнева... замыкали все войско аланов ряды“ (372—373).

ამოწერილ ადგილებში რუსების მოკავშირეებად გამოყვანილი არიან ალანები, ხაზარები, ბურტასები და არკები. ალანები და ხაზარები, ჩრდილო-კავკასიის მცხოვრებნი, კარგად არიან ცნობილნი ისტორიაში, ბურტასებად თვლიან შუაევლოგზე მცხოვრებ მორდვას. დარჩა ერთი სახელი—არკ. რომელი ხალხის სახელწოდება გვაქვს აქ? აი ამ საკითხს ეხება ეს ჩვენი წერილი.

ამ სახელის შესახებ მეცნიერებაში მრავალი მოსაზრებაა წამოყენებული. სულ უკანასკნელად ამ საკითხს გამოეხმაურა რუსი მეცნიერი Н. М. Половой წერილში, რომლის სათაურია „() маршруте похода русских на Бердаа и русско-хазарских отношениях в 943 году“². ამ წერილის ავტორს საკმაო სისრულით ანოზწერავს არსებული მასალები და სამეცნიერო ლიტერატურა ამ სახელის შესახებ და გვაცნობს კიდევაც ზოგიერთ მათგანს.

F. Erdmann ფიქრობდა, რომ არკ არის დამახინჯებული ვარიანტი, მაგრამ ეს შეხედულება იმავე ღირებულებისაა, როგორისაც მისივე შეხედულება, რომ რუსების ბარდავზე გალაშქრება არის იგორის გალაშქრება კონსტანტინოპოლზე. А. Ю. Якубовский, მსგავსად ზოგიერთი სხვა მეკლევირისა, არკ-ს მაგიერ კითხულობს герки და ფიქრობს, რომ აქ იგულისხმებიან греки³, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგანაც 943—944 წელს, თანახმად Н. Половой-ს გამოკვლევისა, греки (ბიზანტიელები) მტრულად იყვნენ განწყობილი ხაზარებისა და ალანების წინააღმდეგ და სამხედრო კავშირს მათთან ვერ გააბამდნენ.

ფრანგი ორიენტალისტი ფ. შარმუა და რუსი მეცნიერი ვ. გრიგორიევი⁴ ფიქრობდნენ, რომ Арки, რომელსაც ისინი უწოდებენ Герки-ს, არიან ქართველები (георги). ეს მეკლევერები, როგორც დავინახავთ, ახლო მისულან ჰემარიტებასთან, თუმცა Арки—Герки არ შეიძლება წარმომდგარიყო георги სიტყვისაგან.

Н. Половой იხრება იმ აზრისაკენ, რომ Арки—Герки არიან ხაზარები. რატომ? იმიტომო, —ამბობს ის, —რომ პოემიდან ზემომოტანილ მეორე და მესამე ადგილას Арк-ის ნაცვლად ნაჩვენები არიან ხაზარები, თან, —უმატებს ის, —ჩვენ ვიცით Арк—Герк-ის ბგერითი შესატყვისი Аркания—Гиркания, რომელიც ბარ-ებრის (XIII ს.) „სირიულ ქრონიკაში“ გაიგივებულია ხაზარეთთან (стр. 94). აქედან გამოდის, რომ რუსულ კოალიციაში შედიოდნენ

² Византийский Временник, т. XX, 1961, стр. 90—105.

³ De expeditione Russorum Berdaam versus. Casani, 1826, pars II, p. XIX—XXX.

⁴ Ибн-Мискавейх, стр. 83.

⁵ О древних походах руссов на восток, ЖМНП, ч. 2, 1835.

ალანები, ხაზარები და არკი—გერკი, იგივე ხაზარები. ასეთ განმეორებას ერთი და იმავე ხალხის სახელისას ნიჰამის, რასაკვირველია, ვერ მივაწერთ. ამრიგად, თითქოს მართლდება დასკვნა, რომ „до сих пор название Арков, как исторического народа, считается неизвестным“⁷.

იქნებ ასეთი უნუგეშო და პესიმისტური დასკვნა გადაჭარბებული იყოს. საჭიროა „Арк“-ის მნიშვნელობის ციხისას თვით სპარსულ დედანს მივპაროთ⁸.

ამ სახელს ზოგი კითხულობს როგორც Арк, ზოგი როგორც Герк. უკანასკნელი ასო ო არის რუსულ-ევროპული ტრანსკრიპცია სპარსული კ ბგერისა, რომელსაც ქართულში ასო ქ უდრის. სპარსულ გამოცემებში გვაქვს ک—„არკ“. ამ სახელს სპარსულში ჰქონია ვარიანტები, რომელთაგან ჩვენთვის საყურადღებოა کَر (ქერკ) და کَرگ (გერკ). პირველი ასოები (ქ და გ) სპარსულში გრაფიკულ ნიშანგზედაც შეიძლება აღმოცენებულიყო, უკანასკნელი ქ რუსულ-ევროპული ტრანსკრიპციით ქცეულა ო-დ, აქედან—герк. თუ მხედველობაში გვექნება ვარიანტები کَر—کَرگ „ქერკ-გერკ“, იქნება ჩვენ მივიღეთ კავკასიურ, კერძოდ ქართულ სინამდვილესთან, რომელსაც ნიჰამი კარგად იცნობდა⁹.

საქმე ის არის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილია უძველესი დროიდან ერთი სექტორი, რომელსაც ხერკ-ი ეწოდება. „ქართლის ცხოვრებაში“ (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემით) ვკითხულობთ: „მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა ზედა, რომელსა ჰრქვან ზანავი; და რომელი ქუეყანაჲ აქუნდა მათ ხარკითა, აჲ ჰრქვან ხერკ ხარკისა ზისთჳს“ (გვ. 16; ეს ადგილი ასე იკითხება „ქართლის მოქცევაშიც“¹⁰); „დაიბანაკეს მუხრანს და ხერკს, ამიერ და იმიერ არაგუსა“ (გვ. 150); „მისცა ხერკი და ყოველი მთიულეთი“ (გვ. 242); ლეონ აფხაზთა მეფემ „აწყჳდა მუხრანი, ხერკი და ბაზალეთი“ (გვ. 270); „და სდეენა ლაშქარმან ბაგრატიანსმან ფადლონს ვიდრე მთამდე ხერკისა“ (გვ. 311).

თუ მხედველობაში ვიჭონიებთ ვახუშტის გეოგრაფიასაც, რომელშიაც, როგორც მოსალოდნელი იყო XVIII საუკუნის მწერლისაგან, ხერკი, შედარებით მემკვიდრეობთან, უფრო ვიწრო ფარგლებშია წარმოდგენილი, ის თავსდება მდინარე არაგვისა და ქსნის აუზში და, დაწყებული მცხეთის ზემოთ, ის მიდიოდა დვალეთამდის, რომლითაც ემიჯნებოდა იმიერკავკასიის ალანებსა და ხაზარებს. ის მოიცავდა მთიულეთის დიდ ნაწილს. ამ სექტორში მდებარეობდა ის ტრაქტი, რომელიც აერთებდა საქართველოს ჩრდილო-კავკასიონთან და რომელსაც შემდეგში „военно-грузинская дорога“ ეწოდა. ხშირი ისტორიული ურთიერთობა ქართველებისა ალანებთან (ოსებთან) და ხაზარებთან, რომლის შესახებ ჩვენი მკვლევარი მოგვითხრობს, და რომელსაც ხან მტრული, ხან მეგობრული ხასიათი ჰქონდა, სწორედ ამ სექტორით ხორციელდებოდა. ნიჰამის სცნობებია ეს სექტორი და, ჩრდილო-კავკასიის მომი-

⁷ Половой, стр. 94, შდრ. Е. Э. Бертельс, Комментарий на Искандер-Наме, т. I, стр. 476.

⁸ ესარგებლობთ ჩვენი ცნობილი ირანისტების—დ. კობიძის და ა. ჯვარციას კონსულტაციით.

⁹ ქ. ქეკელიძე, საქართველო და ნიჰამი განჯელი, ეტიუდები, ტ. 4, გვ. 8.—89.

¹⁰ Е. Такашвили, Описание, II, 708.

ნადრეთა შესახებ ლაპარაკისას, ექვივალენტად საქართველოსა, რომელსაც ის „აფხაზეთს“ ეძახის, დაუსახელებია ის.

შეიძლება „ხერკის“ გაიგივება სპარსული *كر* (ქერქ) და *گر* (გერქ-თან)? ჩვენი ირანისტების შეხედულებით, ეს შესაძლებელია როგორც გრაფიკულად, ისე ფონეტიკურადაც. შევადაროთ ერთმანეთს ქართული ხერკ-ი და სპარსული *كر* (ქერქ). თავკიდური ბგერები *ხ* და *ქ* არა მარტო ქართულ ნიადაგზე სცვლიან ერთმანეთს, არამედ სპარსულზედაც: სპარსულში ჩვენ გვაქვს სიტყვა *خان* (ხამან); თავკიდურ *ხ*-ს ენაცვლება *ქ*, და მიღებულია პარალელური ფორმა *كان* (ქამან) (ცნობა მოწოდებულია პროფ. დ. კობიძის მიერ), რაც ნიშნავს მოხრილს, მშვილდს. რაც შეეხება ქართული ხერკ-ის ბოლოკიდურ *კ*-ს, სპარსულში მის ნაცვლად, გასაგები მიზეზით, გამოუყენებიათ *კ* *ქ*; ეს მით უმეტეს შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ხერკის ეტიმოლოგია და სახელი, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, ისმოდა როგორც „ხერგი“, რაც ნიშნავს ჩაქცეულ, ლოდებითა და მორებით აღსავსე ლელებსა და ხეებს, რომლებითაც დასერილია მთები¹¹.

ამრიგად, თუ ყველაფერი ეს მხედველობაში გვექნება, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 943/4 წლებში რუსულ კოალიციაში შედიოდნენ არა მარტო ჩრდილო-კავკასიის ალანები და ხაზარები, არამედ მათი მეზობლებიც — სამხრეთ-კავკასიის ხერკები, საქართველოს მთიანეთი.

საჭიროა გავითვალისწინოთ შინაარსი ისქანდერ-ნამესი, ხომ არაა მასში ისეთი რამე, რაც ჩვენს დებულებას ეწინააღმდეგება და მიუღებელს ხდის მას? ვიდრე ამ მხრით მივუდგებოდეთ საკითხს, უნდა მოვიგონოთ შემდეგი გარემოება. მეცნიერებაში დადგენილია, რომ ისქანდერ-ნამეში ნიზამის მიზნად დაუსახავს დაგვიხატოს იდეალური მეფის პორტრეტი. ამ მიზანს ის ხშირად მსხვერპლად სწირავს ისტორიულ-ქრონოლოგიურსა და გეოგრაფიულ სიზუსტეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისტორიულ-გეოგრაფიულ ფაქტებს იგონებს; მაგალითად, მას არ მოუგონია არც ალექსანდრე მაკედონელის, არც ალანების და არც ხაზარების არსებობის ფაქტი, არც აფხაზეთი და ბარდავი, არც რუსეთის მიერ ბარდავის დაპყრობა; საკითხი ისმის მხოლოდ იმის შესახებ, რა ურთიერთობაში აყენებს ის ამ ფაქტებს და მოვლენებს.

ამ მიმართულებით, პირველ ყოვლისა, უნდა ვიკითხოთ: შეიძლებოდა კი კავკასიის მთებში ფართე სამხედრო ოპერაციის წარმოება — მრავალრიცხოვანი ჯარის გადაყვან-გადმოყვანა? ასეთ ოპერაციებს აქ წინააღმდეგობა ადგილი. მაგალითად, მეშვიდე საუკუნეში ირაკლი კეისარმა გადმოიყვანა ამ გზით ხაზარები და მათი დახმარებით თბილისი აიღო. მერვე საუკუნეში ამ გზით ნერსე ერისთავი მრავალრიცხოვანი (300) ამალით, რომელშიც აბო თბილელიც შედიოდა, ხაზარეთს გადავიდა. მეთორმეტე საუკუნეში დავით აღმაშენებელმა ამ გზით ყიფჩაყეთიდან საქართველოში გადმოიყვანა 45000 სული და მათგან ყიფჩაყთა მუდმივი ჯარი შექმნა. როგორც პოემიდან ჩანს, რუსები ბარდავს შეესივნენ „მდინარეებით და ზღვით“; ამისთვის მათ სჭირდებოდათ ნაევები, რომელნიც თან დაჰქონდათ; სადაც ხმელეთი იყო გადასალახი, ნაევებს მიწაზე ხელით ათრევდნენ ხოლმე, მაგალითად, 913 წელს — იქ, სადაც ახლა

¹¹ ერთი დოკუმენტის ცნობით, რუსთაველის ეპარქიაში შედიოდნენ, სხვათა შორის „არაგვის პირნი, ძაგნაკორანი, გურამისშვილნი და ზეგის ქვენი“ (საქართველოს სიძველენი, III, 511).

ვოლგისა და დონის არხია. კავკასიის მთებში ზომ ვერ გადმოათრევდნენ მათ? ჩვენ არ ვამბობთ, რომ გაერთიანებული ჯარი რუსებისა, ალანებისა და ხაზარებისა ხერკში გადმოვიდნენ თავისი ნაგებობით, რომელნიც აქ ჩაუშვეს მტკვარში და ამ გზით ბარდავისაკენ გაემართნენ. რუსებს შეეძლოთ ხერკში მოკრებილი ჯარი ჩრდილო-კავკასიაში გადაეყვანათ და აქედან გამგზავრებულიყვნენ ბარდავში ხმელეთით ან სხვა რაიმე გზით. მარშრუტი მათი ჩვენ ამ შემთხვევაში არ გვაინტერესებს და არც ვეძიებთ მას.

შეიძლება თუ არა 943—4 წელს, ბარდავის რუსთა მიერ აკლების დროს, ლაპარაკი ისეთ „საქართველოზე“, როგორიც წარმოდგენილია „ისქანდერ-ნამეში“? დეალი აქ გამოყვანილია მმართველად მთელი საქართველოსა, რომელიც „აფხაზეთის“ სახელს ატარებს და რომლის შემადგენლობაში შედის რანი, მოვაკანი და შირვანი ბარდავ ქალაქით. ეს რასაკვირველია, ერთ-ერთი თვალსაჩინო ანაქრონიზმია პოემაში. ასეთ გაერთიანებულ „აფხაზეთზე“ მხოლოდ XI—XII საუკუნეებში შეგვიძლია ვილაპარაკოთ. მართალია, პოემაში ბევრი ანაქრონიზმია აღნიშნული, უფრო მსხვილიც, მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელის გადმოყვანა ჩვენი წელთაღრიცხვის მეათე საუკუნეში, მაგრამ ანაქრონიზმებით პოემის მნიშვნელობა არ ქარწყლდება, კერძოდ იმ ანაქრონიზმებით, რომელნიც საქართველოს ეხებიან. პოეტს შეეძლო ალეგორიისათვის მიემართნა და თავის ნაწარმოებში შეეტანა მისი საკუთარი ეპოქის დამახასიათებელი ამბები. იყო კი მეთორმეტე საუკუნეში რამე ამის მსგავსი? ისტორიკოსები უჩვენებენ რუსებისა და ალან-ხაზარების თავდასხმას 1170—72 წელს¹². ამ თავდასხმის შესახებ ცნობები მეცნიერებას არ გააჩნია. იქნება პოეტმა ზოგიერთი დეტალი ამ თავდასხმისა გამოიყენა 943—4 წლის ლაშქრობის აღწერაში? 1170—72 წლის ლაშქრობა აქვს, უეჭველია, მხედველობაში ნიჰამის თანამედროვე პოეტს ხაკანის, რომლის ერთ-ერთ ოდაში შექმნილია შირვან-შაჰი ახისტანი, ქართული წყაროების აღსართანი, რომელიც იყო-ქართველი მემკვიდრის სიტყვით, „მეფე შარვანისა და ზღუჯ-პირისაჲ—დარუბანდით ხალხალამდის“¹³; შექმნილია იმისათვის, რომ ის როგორც ქარიზმ, ხალი მოევიდნა ხაზარებს და როგორც ნიაღვარი ალანებს და დარუბანდში ნამდვილი ჯოჯოხეთი შექმნა¹⁴. ერთი სიტყვით, ნაჩვენები ანაქრონიზმი ვერ შეარყევს ჩვენს შეხედულებას ხერკების შესახებ.

მეორე, საქართველოს შესახებ ამბებში გვაქვს ისეთი წინააღმდეგობა, რომელიც უნებლიეთ დააფიქრებს მკვლევარს. საქმე ისაა, რომ „აფხაზეთის“ მმართველი დეალი, პოემით, მოკავშირეა რუსებისა ბარდავის ექსპედიციის დროს ამავე დროს რუსები თავს ესხმიან და არბევენ მის ქალაქს ბარდავს. როგორ, ნუთუ დეალი თავისი სამფლობელოს დარბევაში ეხმარება და თანამშრომლობას უწევს მათ? ის რუსთა საქციელით იმდენად აღშფოთებულია, რომ ალექსანდრე მაკედონელს სთხოვს შეელასა და დახმარებას. ზომ არ აქარწყლებს ეს წინააღმდეგობა „ხერკის“ ჩვენ მიერ წარმოდგენილ გაგებას? არა! პოეტს გადმოაქვს მეათე საუკუნეში თავისი დროის, მეთორმეტე საუკუნის, ამბები. მართალია, მეთორმეტე საუკუნეში რუსეთსა და საქართველოს შორის სახელ-

¹² Бертельс, Низами Ганджеви, стр. 20, Баку, 1940; М. Тебеньков: Древнейшие сношения России с прикаспийскими странами и поэма Ганджеви, Искандер-Намэ, стр. 40.

¹³ ისტორიანი და აზმანი შარვანდუდთანი, კ. კეკელიძის გამოცემა, 1941, გვ. 66.

¹⁴ М. Тебеньков, гл. 47—49.

მწიფობრივი ხასიათის კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია, პირიქით, მათ შორის ერთგვარი ნათესაური კავშირიც კი ინასკებოდა სახელმწიფოს მეთაურთა დაქორწინების გზით; მაგალითად, 1154 წელს კიევის დიდმა მთავარმა იზიასლავმა ცოლად შეირთო ქართველი პრინცესა, მაგრამ პოეტს ალბათ მხედველობაში ჰქონდა თამარის ქმრის გიორგი რუსის საქართველოდან გაძევება, რამაც გამოიწვია გიორგის მხრივ ხანგრძლივი ომები და განხეთქილება ქართველთა შორის. გიორგის ომებმა, დეალის სიტყვით, в этих местах старую вражду обновили¹⁵, რამდენადაც მთელი საქართველო ორ ბანაკად გაყო: დასავლეთ საქართველო და ზოგიერთი ნაწილი სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოსი მას მიემხრო¹⁶. ერთ-ერთ გამოკვლევაში (საქართველო და ნიზამი განჯელი, ეტიუდები, IV, გვ. 81—89) ნაჩვენებია გვაქვს, რომ ნიზამის ამ პოემაში ჩვენ საქმე გვაქვს ალევორიასთან: აფხაზეთის მმართველი დეალი არის ოსთა ბაგრატიონების სახლიდან გამოსული დავით სოსლანი, რომელიც უნდა შეერთო თამარ მეფეს (=ბარდავის დედოფალ ნუშაბეს); მაგრამ შემდეგში ისე წარმართა საქმე, რომ ის შეირთო გიორგი რუსმა, რომელმაც, გამოდის, მოსტაცა, წაართვა იგი „აფხაზეთის“ მმართველს დეალს, ისე როგორც, პოემით, მოსტაცეს დეალს ნუშაბე. ეს ბრძოლა კინტალისა დამთავრდა, ნიზამით, რუსების დამარცხებით, ნუშაბეს განთავისუფლებით და მისი დეალისათვის ჩაბარებით: ალექსანდრე მაკედონელმა „установил между ними брачный договор“ (Бертельс, стр. 359). მსგავსად ამისა, გიორგი რუსის გაძევების შემდეგ დავით სოსლანმა (=დეალმა) ცოლად შეირთო თამარი (=ნუშაბე)¹⁷. მა გზით ეს წინააღმდეგობაც დაძლეულია და ჩვენ არაფერი გვიშლის ხელს „ხერკ“-ში ვიგულისხმოდ ნიზამის „ქერქ-გერქ“.

К. КЕКЕЛИДЗЕ

К УЯСНЕНИЮ ОДНОГО МЕСТА ИЗ ИСКАНДЕР-НАМЭ НИЗАМИ ГЯНДЖЕВИ

Резюме

В поэме Низами Гянджеви Искандер-Намэ имеется эпизод о походе Руссов на Бардаа или Закавказский г. Бардав. Участниками этого похода, по поэме, являются Аланы, Хазары и Арки или Герки. Аланы и Хазары хорошо известны: это Осетины и Хазары, северного Кавказа, кто же такие Арки или Герки? По этому вопросу в науке высказано не мало предположений (Н. Я. Поговой, О маршруте похода русских на Бардаа и русско-хазарских отношениях в 943 году: Византийский Временник, т. XX, 90—105, 1961) но, по общему признанию, „до сих пор название Арков, как исторического народа, считается неизвестным“.

Между тем, если принять во внимание с одной стороны, варианты этого имени в подлинном тексте, с другой—название смежного с Аланиею и Хазариею южно-кавказского грузинского сектора Херк-и, может быть, мы приблизимся к истине.

¹⁵ Перевод Бертельса, стр. 312.

¹⁶ ისტორიანი და აზმანი, გვ. 84—85, 90—96, 100.

¹⁷ ისტორიანი და აზმანი, გვ. 88—92.

Грузия искони веков находилась в культурно-политических связях с Аланиею и Хазарию. Низами, который хорошо был знаком с Кавказской, в частности с грузинской действительностью (см. К. Кекелидзе, Грузия и Низами Гянджеви, Этюды..., т. IV, 81—89), участниками похода русских на Закавказский Бердаа, вместе с Аланами и Хазарами, мог сделать соседящих с ними с юга жителей той грузинской области, которая называлась „Херки“. В персидском тексте вариантами названия Арк являются 'Керк и Герк' (отсюда русско-европейское произношение Герк). В персидском произношении грузинское Херк могло переродиться, не только графически, но и фонетически в 'Керк'—'Герк'.

1962, III, 20.